

საგაზეთო

საქართველო
საგაზეთო

საერთოული გაზეთი

პარასკევი 29 ოქტომბერი 1999 №208 (98)

ფასი 50 თეთრი


პრეტენზიები დინამოს წინააღმდეგ

ფიფას იურიდიულმა კომიტეტმა მოქიშვე კლუბებს შეთანხმების მისაღწევად ახალი ვადა დაუდგინა

**რკინიგზა
ბადაიკვეთა**
თასის
ფინალისტი კი
ძველებურად
დაიწყებს



მოურჯულეული ბრებორი



„ასტონ ვილას“
მენეჯერის უცნაური
თავგადასავალი

გადაწყვეტილება საბოლოოა

„მანჩესტერ იუნაიტედმა“
ინგლისის საფეხბურთო
ასოციაციის თასზე მაინც
უარი თქვა

რეფერენდუმი საქართველოს საუბუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ
ლაურეატებს



ალექსანდრა
ანკილოვოვი

უეფას ოასი. შეორე ეტაბი
პირველი წრე. 28 ოქტომბერი

ლანსი (საფრანგეთი) 4:1 ვიტეზი (ჰოლანდია)
10 ბრუნელი (3), 20 ნუმა (17), 21 ვან პოიდონი (73), 31 კოლენი (74 სკ), 41 ბლანზარი (87)
ტოტენჰემი (ინგლისი) 1:0 კანიზმარსლაუტერნი (გერმანია)
10 იფრსენი (34 პ)



ტოტენჰემი — კანიზმარსლაუტერნი 1:0. ლონდონელი დავიდ უინოლა (მარცხნივ) ჰარი კოხის წინააღმდეგ

იოჰან ბოსკამს ისევ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა სურს მას ფულზე მტად ეს უფრო აინტერესებს

საქართველოს ნაკრების კონტრაქტგასრულებულ მწვრთნელ იოჰან ბოსკამს სწავლა მოსწყურებია და რამდენიმე დღის წინ აფრიკაში, მაროკოში გამგზავრებულა ფიფას ეგიდით მიმდინარე მწვრთნელთა სპეციალურ სემინარზე. თანაც, ბოსკამში სწავლასთან ერთად სხვა საქმიანაც ყოფილა დაკავებული — საქართველოს ნაკრებისთვის მეტოქის შეგულებას ცდილობდა ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად და, რამდენადაც ჩვენი ცნობილია, მის მონდომებას უკვალოდ ჩაუვლია. ბოლო ხანს ხმა დაირხა, საქართველოს ნაკრებს მაროკოელები თავიანთი ხარჯით რაბათში ეპატიუებინაო, მაგრამ ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციებში ჩვენსაშიც და იქაურშიც გაიკვირვეს, ჩვენს შორის მოლაპარაკებაც არ ყოფილა.

ისიც შევიტყვეთ, რომ თურმე იოჰან ბოსკამში საქართველოს ნაკრების კვლავაც განვრთნაზე უარზე არ არის. ეგ კი არა, ძალიანაც სდომებია ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცობა. რამდენიმე დღის წინ იგი ჯერ „ლოკერენმა“ მიიწვია, მერე „პერენენმა“, მაგრამ ბოსკამს ორივე უარით გაუსტუმრებია.

მაროკოში გამგზავრებამდე კი მწვრთნელი ბელგიის დაბალი ლიგის მატჩებზე უნახავთ, თავისთვის ყოფილა და რალაცეებს ინიშნავდაო.

და კიდევ, ჩვენი ლეგიონერებისგან ისიც გავიგეთ, რომ ბოსკამს დანამდვილებით უთქვამს — ჩემთვის ახლა ფული მეორეხარისხოვანია, მსურს, საქართველოს ნაკრებს დავუბრუნდეო.

ვნახოთ, სიტყვა ფედერაციის ჩინოსნებზეა. ისინი ამბობენ, ეროვნული გუნდს მწვრთნელს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კენჭისყრის მერე დაუნიშნავთო, ან დეკემბრის ბოლოს, ანაც დამდეგ ახალ წელს.



ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

კობა ინასარიძე

REUTERS მარიბორიდან



ლაციო — ლევერკუზენი 1:1. ლევერკუზენის ბრაზილიელი ლეგიონერი ემერსონი (№10) და მისი ჩილელი მეტოქე მარსელო სალასი

ლაციო 1:1 ლევერკუზენი
1:0 ნედვედი (1), 1:1 კირსტენი (43)
ლაციო: მარკეჯანი, ფავალი, მიხაილოვიჩი, პანკა...

რომაელებმა ლიგის II უკლიერესს შორის ადგილი
ოფიციალურად გაიფორმეს და მესამე საბინაო
საქმეებზე გადაიხილეს — ამ უკმეებზე სერია A-ში...

„გოლის გატანა მონატრებული მქონდა. ბოლოს
გასულ სეზონში „ინტერს“ გავუტანე და ვინაიდან...

„ლაციო“ პირველი წუთიდანვე ხელთ იგლი
მატჩის სადავეები და ვინაიდან იტალია იმთავითვე...

„ლაციო“ პირველი წუთიდანვე ხელთ იგლი
მატჩის სადავეები და ვინაიდან იტალია იმთავითვე...

სერბმა მიხაილოვიჩმა და არგენტინელმა ვერონამ
საჯარიმო დარტყმებით ადრევე შეამოწმეს პოლონელი...

დაახლოებით 30 წლის შემდეგ კი „ლაციო“
კალაოტიდან ამოვირდა. ლევერკუზენელთა სურვატი...

შესვენების შემდეგ ორივე მხარეს შეეძლო
გოლის გატანა, მაგრამ მატჩი ფრედ დამთავრდა, რამაც...

მარიბორი 1:2 დინამო

0:1 რებროვი (37), 1:1 ბალიჩი (50), 1:2 რებროვი (84)
მარიბორი: გრესაკი, ვუგდალინი, ჩიპი, სარკევი (ფი...

კიეველები თავიდანაც რებროვმა დაწინაურა,
მაგრამ შესვენების შემდეგ, ხუთი წუთში სტიპე...

სლოვენთა იმედებს ესპანელმა მსაჯმა სუან
ანტონიო ფერნანდეს მარინმა 84-ე წუთზე მოუღო...

2 ნოემბერი. VI ტური. ლევერკუზენი — მარიბორი, დინამო — ლაციო

Table with 7 columns: Team, 1, 2, 3, 4, 5, 6. Rows include Lazio, Dinamo, Leverkusen, and Maribor.

REUTERS ლონდონიდან

არსენალი 0:1 ზორინტინა

0:1 პატისტუტა (75)
არსენალი: სიმენი, დიქსონი (შუკერი 74), კიოუნე, ადა...

„ერთ შეცდომას დაუშვებ და დასჯაც არ ავცდება“
— ამბობდა მატჩის შემდეგ „არსენალის“ მწვრთნელი...

დამარცხებამ „არსენალი“ ორი მნიშვნელოვანი
საკითხის წინაშე დააყენა. პირველი საკითხი ის...

მარსელო 5:0 აიპ

1:0, 2:0 კლუივერტი (14, 32), 3:0 ზენდენი (42), 4:0 გაბრი (53), 5:0 დეუ (55)
მარსელო: არნაუ, პუილი (ნანო 46), დეუ, აბელარდო...

აიკ: ასპერი, კილო, ლიუნგი, ბრუნდინი, კამარკი,
კორნელიუსონი, ნორდინი, გუსტაფსონი, ტიერნ...

სტოკოლმელთა მწვრთნელმა სტიუარტ ბაქსტერმა
„მარსელოს“ ძალა შინაც მოსინჯა და სტუმრადაც...

ივდა ბაქსტერი „კამპ ნოუზე“, მონდის კიდესთან
და უცქერდა, როგორ აცამტყვერებდა ესპანეთის...

„მეტი არ შეპარება, რომ ამ სეზონში, ლიგაში,
„მარსელონ“ გაიმარჯვებს“ — თქვა ბაქსტერმა...

„ამთ მომგები რაღაც განსაკუთრებული უნდა იყოს.
„მარსელონს“ სხვა გუნდებთან შედარებით სამი...

„ჩვენ ფანტასტიკურად კარგად ვითამაშეთ, ეს არის
და ეს“ — განაცხადა „მარსელონს“ პოლანდიელმა...

2 ნოემბერი. VI ტური. აიკ — არსენალი, ფიორენტინა — მარსელო

Table with 7 columns: Team, 1, 2, 3, 4, 5, 6. Rows include Arsenal, Fiorentina, Ajax, and Marseille.



არსენალი — ფიორენტინა 0:1. სტუმრებმა ტომას რეკამი (№2) და მეკარე ფრანსესკო ტოლომ „მეთოფე“ დენის ბერკამპს არ გაატანინეს

REUTERS ტრონკევიჩიდან



რუსენბორგი — ბოავიშტა 2:0. ერთი პოფტუნმა (ან) და ვიკინგებმა C ჯგუფიდან გასვლა პირველებმა გაინადღეს

რუსენბორგი 2:0 ბოავიშტა

1:0 ბერგი (62), 2:0 დალუმი (66)
რუსენბორგი: იამბუალი, რ. სტრანდი, ბრანსტადი, პოფტუნი, ბერგდოლომი, ვინსენსი, სკამელსრუდი, ო. ბერგი (ინგე იონსენი 89), სორენსენი, კარეუ, მინი იაკობსენი (დალუმი 58)
ბოავიშტა: რიკარდუ, ფორფე სილვა, ლიტუში, პაულო სოუზა, პედრო ემანუელი, რუი ბენტუ, ლუიშ მანუელი (ამინფული 71), ფორფე კოუტუ, ტიმოფტა, ნილტონი, ველიტონი (ფილმარი 84)
მსაჯი: მ. პირო (ბელგია)
ნორვეგიის ჩემპიონი, ტრონკევიჩის „რუსენბორგი“ ს უძლიერეს შორისაა. ამ მიზნის მისაღწევად მან პორტუგალიურ „ბოავიშტას“ 2:0 მოუგო.

ნავდა, მაგრამ სამხრეთიდან ჩაყოლილმა სიტომ „ბოავიშტას“ პირველ ტაიმში გააძლიერა. შესვენების შემდეგ კი მასპინძლებმა თავისი გაიტანეს: 62-ე წუთზე იან ლერეკ სორენსენმა კუთხური ჩააწოდა, ხოლო ორიან ბერგმა ანგარიში გახსნა.
პირველი გოლიდან სულ ცოტა, ოთხი წუთი გავიდა და „რუსენბორგმა“ უპირატესობა კიდევ უფრო განიმტკიცა. შეცვლაზე შესულ ტორე ანდრე დალუმს მოხერხებული მოკლე პასი თავდასხმელმა, იონ კარეუმ მიწოდა და დალუმმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.
პორტუგალიელებს გათბობის ერთადერთი ვარიანტი ჰქონდა, უნდა ერბინათ და ირბინეს კიდევ რის შედეგადაც მართლაც შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ზუსტ საბო-

ლო დარტყმას სირბილი აღარ ყოფნის, სადი გონება და სიცვიისგან შეულახავი კონცენტრაცია სჭირდება, რაც ვაგლახ...
„რუსენბორგს“ ახლა II ქულა აქვს და C ჯგუფს ლიდერობს, საქმეც მოთავებული აქვს, ბოლო ტურში „ფეიენოორდთან“ შეუძლია შედეგზე აღარც ინერვიულოს. ამიტომ, ტრონკევიჩი-ლთათვის უახლოესი და უმნიშვნელოვანესი შეხვედრა შანსის დანიშნული ნორვეგიის თასის ფინალში გახლავთ, სადაც მისი მეტოქე ბერგენის „ბრანი“ იქნება.
დორტმუნდი XI ფეიენოორდი
1:0 ადო (15), 1:1 იან ფოსენი (73)
დორ...დი: ლუჰანი, ადო, რობერტი, კოლერი, ვენი-ლსონი, სტეფიანი, ნერლინგერი, დედუ, ჯ. რეინა, ბიბინი (მარბარესი 74), მიოლერი

ფეიენოორდი: დუდვი, ვან კოპენი (კოტენკეი 23), პონტრომანი, პაუვე (ვან ფოსენი 58), ლუ ვისერი, ბოსველტი, დალ ტომასონი, დე ბაარი, რუასა, სომალია (კირო 58), კალუ
მსაჯი: კ. კოლომბო (საფრანგეთი)
დორტმუნდელთა და როტერდამელთა შეხვედრა XI დასრულდა, ანუ ორივე გუნდს რჩება ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი. მასპინძლები პირველი ტაიმის ბოლო წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც ბრაზილიელმა ვენი-ლსონმა განელ თანაგუნდელს, ოტო ადოს კარის სიახლოვეს ბურთი ჩააწოდა და მანაც თავურით ისე მძლავრად დაარტყა, რომ „ფეიენოორდის“ ერთობ ფრჩხილმა შეკარებ, იურეკ დუდუკმა ვერაფერი გააწყო.
გაშვებული გოლის მიუხედავად, როტერდამელებმა ინტეგრირი არ გაიტყნეს და მეორე ტაიმის 28-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა პეტერ ვან ფოსენმა ანგარიში გაათანაბრა. ვან ფოსენი მოედანზე გამოჩენის მე-15 წუთს ითვლიდა, როდესაც კარის მარცხენა კუთხეში შორეული დარტყმით შეაგლო ბურთი.
თამაშის მიწურულს იტალიური წარმოშობის თავდამსხმელმა ჯუსეპე რეინამ ორჯერ ვერ გაიტანა.
„იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც ფეხბურთელებს მეტი ინდივიდუალური ოსტატობის გამოძლევა მართებდათ“ — თქვა მატჩის დამთავრების შემდეგ დორტმუნდელთა მწვრთნელმა მისაელ სკიბემ — „ახლა „ბოავიშტასთან“ სერიოზული შეხვედრა გველის, მაგრამ, ვკონებ გამარჯვებას შევძლებთ.“
„ფეიენოორდის“ თავკაცი ლეო ბენეაკერი: „მეორე ტაიმში გაცილებით ძლიერად ვითამაშეთ. ასეა თუ ისე, „დორტმუნდზე“ სუსტები ნამდვილად არ ვიყავით“
2 ნოემბერი. VI ტური. ბოავიშტა — დორტმუნდი, ფეიენოორდი — რუსენბორგი

Table with 7 columns: Rank, Team, P, W, D, L, GF, GA. Rows include RUSSENBORGI, DORTMUNDI, FEIENORODI, BOAVISHTA.

REUTERS შაგერევიჩიდან



კროაციის — მანჩესტერი 1:2. მანჩესტერელი დუაიტ იორკი (მარცხნივ) და კროაციელი გოჩე სედლოსკი ბურთისთვის იბრძვიან

კროაცია 1:2 მანჩესტერი

0:1 ბექემი (32), 0:2 კინი (49), 1:2 პროსინეჩი (90)
კროაცია: ბუტინა, ტოკიჩი, სედლოსკი, იურიჩი (პროსინეჩი 35), მუიჩინი, რუვაკინა, მიკიჩი (ი. სიმინი 54), სარიჩი, ცვიტანოვიჩი (მუშლეკი 69), ტომაში, შოკოტა მანჩესტერი: ბოსნიჩი, ირვინი, სტამი, პ. ბერგი, ბექემი, კოული (კრუივი 79), გიგზი, ფ. ნევილი, რ. კონ, სკოულზი (გრინინგი 67), იორკი (სოლსკიავერი 59)
მსაჯი: დ. იოლი (პოლანდია)
„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე დევიდ ბექემისა და რიო კინის გოლებით დაიბევა ადვილი. თასის მფლობელმა ზაგრებში 2:1 გაიმარჯვა.
ანგარიში 32-ე წუთზე ბექემმა საჯარიმო დარტყმით გახსნა.
მან ბურთი საჯარიმოს კიდიდან ტომისლავ ბუტინასგან შორეულ კუთხეში შეაგლო.
კინმა მეორე ტაიმის მე-4 წუთზე მეორე დაამატა. მისი ძლიერად დარტყმული „კროაციას“ მცველმა მარიო ტოკიჩმა აისხლიტა და ბუტინას ერთხელაც მოუხდა კაპიტულაციის გამოცხადება.
ის ბუტინა დაშვებული დრაჟენ ლადიჩი იერი გოლიკიპერი გახლავთ.
„... ში ერთობ რთული გახლდათ, მაგრამ ჩემი აზრით, ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი ვართ და იმიტომ გავიმარჯვეთ. გოლი რომ გავიტანეთ, ვიცოდით, რომ მეტოქეს გათანაბრება აღარ შეეძლო. ძალიან კმაყოფილი ვახსენებ, რომ შემდეგ ეტაპზე რომ გავედით. მართალი ვითხრათ, საკუთრივ თამაშის ხარისხით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ გოლები საუცხოო იყო.
„კროაციას“ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ძნელად დასამარცხებელი გუნდია, ამიტომაც მეტისმეტად მიზარია, რომ გავიმარჯვეთ“ — განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა.
„კროაციამ“ სხვაობა თამაშის მიწურულს შეამცირა.
გოლის ავტორი გახლდათ რობერტ პროსინეჩი, რომელმაც პირველი ტაიმის შუაში დაშვებული გორან იურიჩი შეცვალა და ნახევარდაცვას თავისი ხელი დაატყო.
„იურიჩის ტრავმამაც ითამაშა უარყოფითი როლი. პირველი გოლი ამიტომ გავუშვი, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ასეც და ისეც იცოდა, როგორ ეგდო ხელთ შეხ-

ვედრის სადავებო. ეს გუნდი ჩვენზე ძლიერი იყო, ბოლოს და ბოლოს ტყუილად ხომ არ გახდა თასის მფლობელი“ — თქვა „კროაციას“ ნახევარმცველმა ელინ მუიჩინმა.
შტურმი 3:2 მარსელი
1:0 მავლი (17), 1:1 დუგარი (51), 2:1 კოციანი (62), 2:2 დიუგარი (78), 3:2 კოციანი (85)
შტურმი: შიკლერბერგი, ნოიკირხნერი, მავლი, შუპი, ვასტიჩი, პრილანსიჩი, ჟ. მარტენსი, ფელდშოფერი (შტრაფენერი 39), შოპი (რაინმაიერი 81), მინაჟადჩალი (ბარდელი 76), კოციანი
მარსელი: პორატო, ბლონდო, პერესი, ისა (დუ ლა პენია 46, დიუგარი 49), ბერნოზო, პირესი, შორისი (ლ. რეინა 70), რაჟანელი, დალმა, გალასი, ლუქსენი
გაძევება: ბლონდო (68)
მსაჯი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი)
„მარსელს“ მოგება არ ადარდებდა. იგი მეორე ადგილზე ქვევით ვეღარ გავა.
გრაცში გატარებული სადამო მარსელელთათვის ტკბილ-მწარე გამოდგა. ერთ-ერთი სიმწარეთაგანი კი 68-ე წუთზე პატრიკ ბლონდოს გაძევება გახლდათ.
„შტურმი“ მე-17 წუთზე რომან მავლი ხმა დააწინაურა. უპირატესობას მასპინძლები მანამ ფლობდნენ, სანამ „მარსელის“ შემადგენლობაში ხუთთამაშის დისკვალიფიკაციამოხდელი კრისტოფ დიუგარი არ გამოჩნდა: დიუგარმა 51-ე წუთზე გაათანაბრა.
62-ეზე ისევ გრაცის გუნდი დაწინაურდა — გოლი ტიმოსლავ კოციანმა შეაგლო.
მიუხედავად იმისა, რომ ბლონდო უკვე გაძევებული გახლდათ, ფრანგებმა ერთხელაც გაათანაბრეს. გოლი კვლავ დიუგარმა გაიტანა.
ეს 78-ე წუთზე მოხდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე, კოციანმა მეორედ შეაგლო და სამი ქულა ავსტრიაში დატოვა.
2 ნოემბერი. VI ტური. მანჩესტერი — შტურმი, მარსელი — კროაცია

Table with 7 columns: Rank, Team, P, W, D, L, GF, GA. Rows include MANCHESTERI, MARSელი, შტურმი, კროაცია.



Table with 4 columns: Match number, Teams, and three columns of scores. Includes matches 192-216 with various opponents like 'სამსუნი', 'ბურსა', 'გერმანია'.

Table with 6 columns: Match number, Teams, and four columns of scores. Includes matches 212-246 with various opponents like 'ოლბორგი', 'ურალანი', 'ჯინიკი'.

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყენოს საკუთარი მოკლე მული სპორტული შეჯიბრების შედეგი, საორტის სათანადო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „საბრელოში“.

Table with 4 columns: Match number, Teams, and three columns of scores. Includes matches 217-246 with various opponents like 'ურალანი', 'ჯინიკი', 'აღანი'.


ფსონების მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიყენოს ვარიანტი აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი.

Table with 4 columns: Match number, Teams, and three columns of scores. Includes matches 205-216 with various opponents like 'ლუგანო', 'არაუ', 'ციურნი'.

კოეფიციენტები მრავალდღიან მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება.

Table with 4 columns: Match number, Teams, and three columns of scores. Includes matches 207-216 with various opponents like 'ბაზელი', 'ივერდონი', 'ქსამაქსი'.

ფსონის დაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ: 1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ; 2. შეიკვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე).



პატრონთა შესვლით სიღარიბე არ იცვლება

ხმალი თბილისის სპორტის სასახლეში ოცდამეშვიდედ დაიწება ოდესღაც ძლიერი, დღეს კი ჩვენივე უნიკალური ერობითი დაწინაურებული საერთაშორისო ტურნირი ძიულში. ამჯერად ის ახალი მეტატონის ხელშია — სპორტის დეპარტამენტმა მისი ჩატარება თბილისის სპორტის სამმართველოს დაავალა. ახლა ეს უწყება ძიულს ფედერაციასთან ერთად აკვარებს ორგანიზაციულ საკითხებს. ეს კი უფულო

სახელმწიფოში სულაც არაა იოლი. ტატამი უკვე მოეწყო, სტუმართა დასაბინავებლად სასტუმროებიც შეირჩა, დამზადდა ბუკლეტები, აფიშები, მედლები, დიპლომები და სხვა საჭირო ატრიბუტიკა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს მთავარი — ფული. თუ ამ გაგანის საარჩევნო მართონსაც გაეითვალისწინებთ, ორგანიზატორებს მისი ჩატარება შეეძლება ნისიადაც მოუხდეთ. ფული რომ სანთლით საძებარი და

კარდაკარ სამათხოვრო იქნებოდა, ყველაზე ადრევე იცოდა, მაგრამ ამას ერთი გაუთვალისწინებელი პრობლემაც დაემატა — როგორც ამბობენ, სპორტის დეპარტამენტს დავალიანების გამო ფაქს-ტელეფონები გამოურთეს, რამაც უცხოელებთან დაკავშირება საგრძნობლად გააძნელა. საბოლოოდ ორგანიზატორებს ამ საქმეში ოლიმპიური კომიტეტი დაეხმარა და სახვალად თბილისში დაახლოებით 7-8 გუნდს ელიან, ძირითადად დსთ-ს ქვეყნებიდან. უცხოელთაგან წინასწარი თანხმობა ჯერ მხოლოდ ბერძნებმა გამოგზავნეს. ელოდებიან თურქებს და ინგლისელებსაც. თუმცა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ტურნირის მონაწილეებზე საუბარი შევიძლების დაწყების წინა დღის გვიან საღამომდე უადგილოა.

ქართველი ძიულისტები ამ ტურნირს გამოსაცდელად იყენებენ. წლებულს საქართველოს ჩემპიონატი არ ჩატარებულა და ასეთ შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებენ. ამიტომაც იჭიდავეს ზვალ-ზეგ ყველა, ვისაც ძალია ერჩის და წარმატების პრეტენზიით მოსულა ძიულში. ნაკრების მთავარი მწვრთნელის, შოთა ხაბარელის თქმით, საქართველოს ნაკრები 70 კაციტ წარუდგება მაყურებელს. მათ შორის არ იქნებიან ნაკრების წევრები — სოსო ლიპარტელიანი (81), ნესტორ ხერგიანი (60) და ვიორგი რევაზიშვილი. ლიპარტელიანი აუადა, ხერგიანს და რევაზიშვილს კი მწვრთნელი ასვენებს. ამ დღეებში ხომ უკვე მოიპოვა სიღნევის ოლიმპიადის საგზურები და დასვენების ღირსნიც არიან.


ირაკლი თაგაძე

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

სამი პითხვა ლაშრეპატს

1. დავისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.
2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?
3. ვინ მიგანიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

ალექსანდრე ანაქიმოვი
სპორტული
დაიბადა 1954 წლის 18
აინვარს თბილისში. სპორტის
დამსახურებული თსტატი.
მსოფლიოს ჩემპიონი (1982) და
ვიცე-ჩემპიონი (1978),
მონრეალის ოლიმპიადის (1976)
ჩემპიონი, მოსკოვის (1980)
ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი



1. ყველაზე სასიამოვნოდ, ბუნებრივია, 1976 წელს მონრეალის ოლიმპიადამი გამარჯვება მაგონდება, ყველაზე გულდასაწყვეტი კი 1977 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკიადა იყო, სადაც საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. არადა, მეტი შეგვიძლო.
2. ვფიქრობ, მხოლოდ მშობლიური ხალხის სიყვარული დაეხმარება სპორტსმენს. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ბიზნესზე, მაგრამ სპორტში მთავარი მაინც სპორტსმენია. ისინი ყოველთვის იბადებოდნენ, იბადებიან და დაიბადებიან.
3. ვიქტორ სანევი, ლევან თელიაშვილი, გივი კარტოზია, ნონა გაფრინდაშვილი

ბედნიეიშვილი ფულს კი არა, დაკარგულ მედალს დარდობს

თავისუფლად მოჭიდავეთა ანკარის მსოფლიოს ჩემპიონატში ქართველთა ასპარეზობაზე მკითხველს თავის დროზე ოპერატიულად და პრეცედენტულად მოუთხროთ, დღეს კი მშობარ ბედნიეიშვილს ვესაუბრებით.

დაინტერესებულ მკითხველს ეცოდინება, რომ ბედნიეიშვილმა თურქეთში ქართველთაგან საუკეთესო — მეოთხე ადგილი და სიღნევის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. მისი ნახევარფინალური შეხვედრა კანადელ დანიელ ივალთან კი ერთგვარად სკანდალურად გამოდგა. ემზარმა კანადელთან შარშანდელ მსოფლიოზე წააგო და მაშინაც მსგავსი დავიდარაბა ატყდა.

— ჩემპიონატიდან გარკვეული დრო გავიდა და, ალბათ, უკვე ყველაფერს გაანალიზებდით. როგორი მოგონებაა დაგითვით ამ პირველობაში?

— მედლებზე ასე ახლოს რომ არ მივსულიყავი და მხოლოდ ლიცენზია ამელო, მაშინ კმაყოფილი ვიქნებოდი, ახლა კი, რომ ვფიქრობ ჩემპიონობაც შემეძლო... თუმცა ამას ვერავის დავაჯერებ და ისეა დამრჩენია, ოლიმპიადას დაველოდო. წარსულს ხომ ვერაფერი შეცვლის. შევეცდები, ოლიმპიადაზე ყველაფერი გამოვსწავლო. მიუღი ტურნირი იმას ვფიქრობდი, ტარიელ მელულაშვილივით არ დამეშინოს — მეთქი. მასაც ჩემსავით ჩემპიონობა შეეძლო, მაგრამ მეთხეზე გავიდა. პრიზიორი არ ანსოვს არავის და მეოთხეადგილოსანი ვის გაახსენდება. ჩემპიონობა კი სულ სხვაა.



ემზარ ბედნიეიშვილი

კანადელ დანიელ ივალს ფინალში გასასვლელად ვეჭიდავებოდი. ის ჩემთვის უცნობი არაა. მასთან შარშანდელ მსოფლიოზე ნახევარფინალში გასასვლელი შეხვედრა მსაჯებმა წამაგებინეს და მისი ჯავრი მჭირდა. მსაჯები ივალს ახლაც აშკარად მიემზრნენ. მე ალაღად მოვიგე და უკვე ფინალში გასვლას ვუზემობდი. მწვრთნელებიც მილოცავდნენ, კანადელი კი ხალიჩაზე იწვა და ტირიდა. ამ დროს მსაჯებმა მას ქულა მისცეს და დამატებითი დრო დანიშნეს. იქაც დაუმსახურებელი ქულა აჩუქეს და წამაგებინეს. პროტესტი შარშანდელივით კი შევიტანეთ, მაგრამ მაშინდელივით უშედეგოდ. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები მას ოლიმპიადაზე.

— მესამე ადგილისთვის შეხვედრა თურქ სანლი იუსკელთან წაბგეთ, რომელსაც ჭგუფში 111 მოუ

დახეც აუცილებლად მედლისთვის ვიჭიდავებ.

— წლეულს ვერობაზე ბრინჯაო მოიპოვეთ. ახლაც რომ თუნდაც იმავე ხარისხის მედალი აგელოთ, წლის საუკეთესო სპორტსმენობის კანდიდატი იქნებოდით.

— ახლა ამ ტიტულს, ალბათ, ძიულისტი ნესტორ ხერგიანი მოიპოვებს, რომელიც ვერობაზეც და მსოფლიოზეც მესამე იყო. შარშან ოცეულშიც კი არ ვყოფილვარ. უფრო ადრეულ წლებში ლაურეატადაც არ მასახლებდნენ, მაგრამ არ მინალვლია. ცხოვრება წინაა, ეგ არაფერი. წლეულს სამეულში თუ მოვხვდი, ესეც დიდი სტიმული იქნება.

— ახლა სალიცენზიო ტურნირებიდან თავისუფალი ხართ. ოლიმპიადისთვის როგორ მოემზადებთ?

— ვოცნებობდი, ოლიმპიადის ლიცენზია მოვიპოვო და სალიცენზიო ტურნირებზე წაწვალს გადავრჩე-მეთქი. ახლა დასვენებული ვარ. ოლიმპიადამდე ვეროპის ჩემპიონატსა და მაქსიმუმ ორ ტურნირში თუ გამოვალ, ისიც არა სალიცენზიოში. ესაა ჩემი საოლიმპიადოდ მზადების გეგმა, სხვა არაფერი მაინტერესებს.

— ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით?

— როგორც იქნა, მს. აოს ჩემპიონატამდე წელი მოვირჩე. ეს იყო პირველი ტურნირი ბოლო წლებში, რომელზეც ჯანმრთელი წავედი, მაგრამ იქ მენჯის ძვალი დამიზიანდა. ანკარის მერე არც მიჭიდვია. ახლა ზაქრო თელიასთან ვმკურნალობ. მ ნოემბერს მაკლდონიში მივდივარ, იქაურ კლუბთან კონტრაქტი გავაფორმე და ვეროპის საკლუბო ჩემპიონატში მსურს ასპარეზობა. იმედია, იმ დროისთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

— იუსკელთან შეხვედრამდე გასანდელში მომხარბე რას იტყოდით?

— ეს მართლაც ისე იყო, როგორც „სარბიელში“ ეწერა — ფულიც დაეკარგე და მედალიც. თურქებმა მართლა შემომთავაზეს შეხვედრის გაყიდვა.

— ახლა ხომ არ ნანობთ, მედალიც რომ დაკარგეთ და ფულიც?


— არა, რადგან სინდისი სუფთა მაქვს. კაცურად გეუბნებით, ამას გულწრფელად ვამბობ. შეხვედრა რომ მართლა გამეყიდა, მაშინ გული დამწყდებოდა, იქნებ მედალიც ამელო — მეთქი. ჩემთვის მთავარია წარმატება და არა ფული. წარმატებას თავისთავად მოაქვს ფული.

— შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავეთ, წლეულს — მეოთხე, რაც წინსვლის მაჩვენებელია.

— ეგ მეც მამშვიდებს, რაც დრო გადის, სულ უფრო წინ მივდივარ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ოლიმპიად

ირაკლი თაგაძე


ფოთის სპორტული საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ფოთის ხელბურთის სპეციალისტებული სპორტული სკოლის დირექტორი ფრიდონ (გაბა) გაგუღია და სამამიარს უცხადებს განსვენებულის თჯახს.





იტალია **გელგია**
 ტასის II მტაპი. საპასუხო მატჩები
 ფენოა — კალიარი 1:4; ბარი — ნაპოლი 1:1
 ანდერლახტი 2:0 ჰერენვენ

REUTERS სურსათიდან



ირვინი რაფრინდა

„შირარის“ ლიდერი ედი ირვინი, გუშინ რომ ტოკიოში იყო, დღეს ვერტმფრენით ჩაფრენილა სუძუკაში, სადაც ამ კვირას იაპონიის დიდი პრიზი გათამაშდება ფორმულა 1-ის რბოლაში. ირვინი ახლა პირველია, შარშანდელი ჩემპიონი მიკა ჰაკინენი კი კბილებს იღესავს.

REUTERS მალიორკიდან



REUTERS შტუტგარტიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკში გასრულდა ბეისბოლის მსოფლიო სერია, რომელშიაც იტურმა „იანკიზმა“ თით მატჩში „ატლანტა ბრეივზს“ სძლიეს და სმოფლით გამარჯვებულებად გამოცხადნენ. სიხარული და შამპანურიც აქედანაა. ნახეთ, როგორ წუწავს „იანკი“ ჯეფ ნელსონი თანავუნდელ შეინ სპენსერს!

დიდი ბეისბოლი გასრულდა

მაგრამ სადაც ბეისბოლია, იქ თოციბალური ღონისძიებაც უნდა გაიმართოს. წარსულის ლეგანდა პენე არონი ესალმება ამერიკისა და ეროვნული ლიგის რჩეულ მოთამაშეებს, კლივლენდელ მენი რამირესს (მარცხნივ) და ჩიკაგოელ „კაბს“ სამი სოსას. ამათ ხომ სწორედ არონის სახელობის ჯილდოები დაიმსახურეს.

REUTERS ნიუ იორკიდან




პრეზიდენტი უგანჯოსნობს

ესპანეთში კერძო ვიზიტად ყოფილა ფინეთის პრეზიდენტი მარტი აპტისაარი. კერძო ვიზიტი იძლევა ამის საშუალებას დადექ, გოლფი ითამაშე! თანაც, თუ ისეთ კარგ ადგილას ხარ, მალიორკა რომაა.



უბეფი უბუბარტუი

უბუბარტუი „ეგროტარდ თუფენის“ საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს. ეს ქალი ვინცაა, ყველაზე ვიციო, კაცი კი ანდრე აგასის მწვრთნელი ბრეტ ჯილბერტი ვახლავო. აბა რა ვახსავირია, შტეფი გრაფი თავისი მიჯნურის აღმზრდელს ემასლაათებოდეს? ამ დროს კი — ანდრე ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს ეთამაშება.



REUTERS შტუტგარტიდან

სარბიელი
 საორტული გაზეთი
 გააოიცივა 1990 წლის
 28 დეკემბრიდან
 გააოდის საშაბათს,
 ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
 პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონცხვერია
 დირექტორი გიორგი ოპროშვილი
 რედაქტორი თამაზ მიბრიაული
 მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია პაპუნაშვილი
 ავთანდილ გურასაშვილი
 ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბუციანი
 უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
 ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორიძე
 ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
 კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
 ფეხბურთის რედაქტორი, ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტა-

ლიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი ვაშა-კიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქტორი ირაკლი თა-ვაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის გან-ყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპო-ნდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე; ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვლეაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
 გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, ალექსანდრე
 ყაზბეგის გამზირი 42, 11
 კორპუსი, IV სართული.
 საფოსტო მისამართი:
 თბილისი — 79, საფოსტო
 ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
 ელექტრონული ფოსტა
 sarbieli@iberiapac.ge
 ელექტრონული ვერსია
 http://www.opentext.org.ge/sarbieli